Qualifikation

Sowohl im **deutschen** als auch im **georgischen Recht** wird unter Qualifikation eine Art der Tatbestandsabwandlung verstanden, die den Grundtatbestand um bestimmte strafschärfende Merkmale erweitert (z.B. hinsichtlich der Begehungsweise, der Verwendung bestimmter Tatmittel, der Beziehung zwischen Täter und Verletztem usw.) und somit dessen Unwertgehalt steigert. Ebenso wie der Grundtatbestand müssen auch die strafschärfenden Merkmale vom Vorsatz umfasst sein. Darüber hinaus kennen beide Rechtsordnungen sog. „erfolgsqualifizierte Delikte", bei denen der Täter im Zusammenhang mit der vorsätzlichen Verwirklichung des Grunddelikts (z.B. vorsätzliche Körperverletzung) eine qualifizierende schwere Folge (i.d.R. den Tod, wie z.B. bei der Körperverletzung mit Todesfolge) verursacht. Anders als bei einer „echten Qualifikation" reicht hinsichtlich der eingetretenen schweren Folge in der Regel Fahrlässigkeit aus. Man spricht diesbezüglich auch von einer „Vorsatz-Fahrlässigkeits-Kombination" (siehe auch § 11 Abs. 2 dStGB für das deutsche Recht sowie Art. 11 Abs. 1 gStGB für das georgische Recht). Zudem muss stets ein spezifischer Gefahrenzusammenhang zwischen dem Grunddelikt und der schweren Folge vorliegen. Sowohl bei den echten Qualifikationen als auch bei den erfolgsqualifizierten Delikten ist der Qualifikationstatbestand abhängig vom Grundtatbestand und stellt demnach kein neues Delikt mit eigenständigem Unwert dar. Grundtatbestand und Qualifikation stehen zueinander in einem Stufenverhältnis, was sich auch anhand des höheren Strafrahmens der Qualifikation bemerkbar macht. Treffen bei der Tatbegehung qualifizierende und privilegierende Umstände zusammen, findet grundsätzlich der Privilegierungstatbestand Anwendung, der gegenüber der Qualifikation insofern eine Sperrwirkung entfaltet. (Mpi/Gtu)

დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობა

როგორც **გერმანულ**, ისე **ქართულ სამართალში** დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობის ქვეშ მოიაზრება დანაშაულის შემადგენლობის მოდიფიკაციის ერთ-ერთი სახე, რომელიც დანაშაულის ძირითად შემადგენლობას პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებით განავრცობს (მაგ. დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის ხერხთან, გამოყენებულ საშუალებასთან, დამნაშავესა და მსხვერპლს შორის არსებულ კავშირთან) და ამით ზრდის მის უმართლობის ხარისხს. ამასთან სავალდებულოა, რომ მოქმედი პირის განზრახვა დანაშაულის ძირითად შემადგენლობასთან ერთად მოიცავდეს ასევე კვალიფიციური შემადგენლობის დამაფუძნებელ გარემოებებსაც. ამის გარდა, ორივე ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს ე.წ. „შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს" (თანმდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაული), რომელთა შემთხვევაშიც მოქმედი პირი ძირითადი შემადგენლობის (მაგ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) განზრახ განხორციელების პარალელურად იწვევს მძიმე შედეგს (როგორც წესი, სიკვდილი, მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება

სასიკვდილო შედეგით). განსხვავებით „რეალური კვალიფიკაციისგან“, ამ შემთხვევაში დამდგარ შედეგთან მიმართებით საკმარისია როგორც წესი გაუფრთხილებლობა. აქვე საუბარია „განზრახვა-გაუფრთხილებლობის-კომბინაციის“ თაობაზეც (იხილეთ ასევე გსსკ-ის მე-11 პარაგრაფის მე-2 ნაწილი გერმანული სამართლისთვის, ხოლო სსსკ-ის მე-11 მუხლის 1-ელი ნაწილი ქართული სამართლისთვის). ამის გარდა, სავალდებულოა, რომ ძირითადი შემადგენლობით გამოწვეულ საფრთხესა და მძიმე შედეგს შორის არსებობდეს სპეციფიური ურთიერთკავშირი. როგორც რეალური კვალიფიკაციის, ისე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტებისას, კვალიფიციური შემადგენლობა დამოკიდებულია დანაშაულის ძირითად შემადგენლობაზე და ისინი შესაბამისად არ წარმოადგენენ ახალ დელიქტებს თავისი დამოუკიდებელი უმართლობით. დანაშაულის ძირითად და კვალიფიციურ შემადგენლობებს შორის არსებობს გარკვეული დონის თანაფარდობა, რაც კვალიფიციური შემადგენლობისთვის გათვალისწინებულ მკაცრ სასჯელში ვლინდება. თუ დანაშაულის ჩადენისას ერთდროულად არსებობს იმავე დანაშაულის კვალიფიციური და პრივილეგიური შემადგენლობები, უპირატესობა ენიჭება პრივილეგიურ შემადგენლობას და მას კვალიფიციური შემადგენლობის მიმართ გააჩნია ე.წ. მბლოკავი ძალა. (Mpi/Gtu)